


# ს ი ა ს გ ი

ქვეყნული  
ბიბლიოთეკა

ნახ. შ. ვაძბოლსკისა



ბაზუკა

სუნისი

სუნი

შაბუნი

სვაქი

## კვირისა

გ ე ე ე ე

გაცოფებული აფთარი გაიქრა— „ტყეში“ გავარდა,  
 ევროპის წალხეხს დაესხა, აფრიკას გაინავარდა.  
 იფიქრა: „ეს კონტინენტი არის საჩემო საკბილო,  
 მივალ და ისე შევხაპავ რომ „ვაი დედა“ ვაკივლო.

„აფრიკის დაცემით ბერლინელა მხეცი გალიაში აღმოჩნდა“  
 ინგლისური გაზეთებიდან

არ გაუმართლდა ლოდინი, აქაც იმედი გაცრუვდა,  
 მისი რწმენა და სურვილი ისევ უკუღმა ასრულდა  
 და სტალინგრადში ნახულ ჭირს მოშუკვა ახალი ვაგბა:  
 სხვისთვის მჯისა დამგები, თვითვე ხაფანგში ვაგბა.

გერინგი რომში ჩავიდა და დაპირება მისცა მუსოლინი, რომ იგი დაიცავს იტალიას. თმის დაწყებისას მან განაცხადა: „მეტი ვდებ, რომ გერმანიის მიწა-წყალზე მტრის არც ერთი ყუმბარა არ დაეცემა“



ერთ ზაფხულში კულა-ხარი ბუზთა სროვამ გაამწარა, იღმულია, იტორტმანა, ვერაფერი მოაგვარა. შეეჩვიენ ზურგს მწერები, გაკეთეს აბლაბუდა, ვერ აკლებდა მტერს ვერაფერს, რადგან ხარი იყო კულა! უკუდომ და საკუთარი ტკივილებით განამწარმა, სხვა ხარების გასამხნევად დაიბღველა კულა ხარმა: ნუ ირჯებით მეგობრებო, მოგასვენებთ, გაგასწავლებთ, ბუზებს მე თვით მოვიგებო და ახლოს არ გაგაკარებთ. და თან ბუზთა დასაფრთხობად მოიქნია კულამ გავა, შეტორტმანა, წაქცევს გან თავი ძლივას შეიკავა. შიტლერელთა მზაკვრულ ბანაკს დღე დაუღა ცული, შავი, ბრიტანელმა მფრინავებმა დაუნგრეს წყალსაცავი. ჩვენი რკინის შევარდნები თავს ესხმება ბერლინს გუნდათ. სოფლები და ქალაქები მათ აქციეს ნაცარტუტად და ამ დროს კი გერინგ „ბრძენმა“ რომისაკენ იწყო ფრენა და აღუთქვა „მხსნელმა“ დუჩეს დალუპვისგან გადარჩენა. დე, ირწმუნოს მუსოლინიმა, გამხნევდეს და ისარხაროს, ჩვენთვის მაინც აშკარაა, რომ გერინგი... კულა-ხარობს.

— ცუდათ წავიდა აფრიკაში ჩვენი საქმე. გუშინ ერთერთმა ჩვენმა ღივიზიამ პოლკოვნიკი დაჰკარგა.

— ეგ რა არის, ჩემმა ნაცნობმა პოლკოვნიკმა მთელი ღივიზია დაჰკარგა.

ს. ისარიძე

მელას გაქუსულ ჰურიხსა და ღოგის გუნავის შესახებ

(ახალი არაკი)

„თუ წნაცისტი ბანდიტები, როდისმე თავს დაგვესხმიან ჰაერიდან, ან შემოუტყვენ წარმოების ძირითად ცენტრებს, მაშინ თქვენ მეაგნებინებთ, რომ ისინი საქათმეში, ან საკურდღლეში კი არ ჩამოშვებულან, არამედ ღოგის ბუნაგში.“

მელა უპატრონო ტყეში მოხვდა. მიხედ-მოიხედა. ნახა მბრძანებელი არავინ იყო. შედგა მალალ ჯირკზე და ტყის მკვიდრთ მოუწოდა. მოგროვდნენ ცხოველნი და ფრინველნი, მაგლობელნი და მჩხავანანი, მოსაქმენი და მტაცებელნი.

— თქვენ იცით თუ არა, რატომ გიხმეთ აქ? — ყალბი მრისხანებით შეეკითხა მათ გარეწარი.

— არ ვიცით, აბა საიდან გვეცოდინება, როცა საკუთარ საქმეში ვართ გართულნი.

— მაშ ამიერიდან იცოდეთ, რომ მე თქვენი მეფე ვარ, განგებისაგან მოვლენილი. მართალია გვირგვინი არა მაქვს, მაგრამ ჩემი დარბაისელი კული ყველა ხამკაულს სჯობია. ამ კულში უძლეველი ძალაა, გესმით თუ არა, რეგვენო.

ტყის მკვიდრთ იფიქრეს, იფიქრეს და დაასკენეს: „ალბად მართლაც განგებისაგან მოვლენილია, ალბათ კულში უძლეველი ძალა აქვს, თორემ ჩვეულებრივი მელა ასეთ მიქარვებს როგორ გაბედავდა? დაასკენეს და მოახსენეს:

— რაკი განგებისაგან ხარ მოვლენილი, მაშ იყავი მბრძანებელი.

— ვიქნები — ბრძანა მელამ, — ოღონდ გახსოვდეთ. სულ შემწვარ-მოხრაკულები უნდა მომართვათ ხოლმე.

— მოგართმევთ, — უთხრა შეკრებილთა ერთმა ნაწილმა. მეორე კი სდუმდა.

— რაო, ვითომ მაგ დუმილით რა გინდათ სიტყვათ? — შეეკითხა მელა მდუმარეთ. — წინააღმდეგი ხართ? — მაშ სიკვდილი მაგათ.

ბრძანება და აღრევა ერთი იყო. მტაცებელნი მიესიენ მოსაქმეთ, მჩხავანნი — მაგლობელთ, ჩავარდა შფოთი, მიდამო სისხლით დაიფარა.

— ასე მტერი დაგიმარცხოს, — მიმართეს მელას მგლებმა, — დავამარცხებ ურჩინი, ყელი გამოვლადრეთ, შევჭამეთ, სისხლი შევსვით, ჰაილ ფიურერ!

— ჰაილ ფიურერ, ჰაილ ფიურერ! — გაისმა ხრინწიანი ხმები.

მელა კმაყოფილი დარჩა და ბრძანა:

— მაშ ასე, ამიერიდან იცოდეთ, რომ — ქვეყნიერება საქათმეა, შეესიეთ საქათმეს და დაეპატრონეთ.

ჩოჩქოლი ადგა და ქვეყანაზე სისხლის მორევი დადგა. ასე გაგრძელდა, გაგრძელდა და როცა მელას ქვეშევრდომთა ლაშქარი ნახევარზე დადგა, მაშინ მის წინ ფოცხვერთა ჯოგი წარსდგა და მოახსენა:

— კურხულ იყოს შენი კული. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ქვეყნიერება საქათმე არ ყოფილა, მაგრამ ამას რას ვხედავთ? შენი კული საქათმედ გაქუსულა, სჩანს, მაგანაც იგრძნო, რომ ქვეყნიერება საქათმე არ ყოფილა ჰაილ ფიურერ!

მელამ მრისხანედ მიუღო:

— ეგ მეც მშვენივრად ვიცი, ჩემმა კულმაც იცოდა, რომ ქვეყნიერება საქათმე არ არის.

— მაშ რა არის მბრძანებელი, ქვეყნიერება?

— ქვეყნიერება საკურდღლეა. შესიეთ, დაეპატრონეთ კურდღლებს, კვლავ სისხლის წარღვნა დადგა, კვლავ მელას ქვეშევრდომთა ლაშქარი ნახევარზე დადგა და მის წინაშე ახლა აფთართა გუნდი წარსდგა:

— კურთხულ იყოს ეგ ხვთაებრივი კული, — გაგებდავთ და მოგახსენებთ, რომ ქვეყნიერება საკურდღლე არ ყოფილა.

— მაშ რა ყოფილა გარეწრებო? — განრისხდა მელა.

— ღოგის ბუნაგი.

— ღოგის ბუნაგი? — საიდან იცით?

— ჩვენი თვალთ ვნახეთ და ჩვენი ზურგით განვიცადეთ, აი, ნახეთ, სადაც მისი ტორი მოგვხვდა, მორჩენა აღარ შეგვიძლია.

— მაშ რა გვიშველის? — შემკრთალი ხმით შეეკითხა გარეწარი.


— შენსებმა მაგ ღვთაებრივმა კულმა გვიშველოს, ჰაილ ფიურერ!

— ჰაილ ფიურერ... — გაიმეორა მელამ, მაგრამ, ხმა აუკანკალდა, ქერო აებურძგნა, კულზე ბეწვის გაცვენამ უმატა, და მისი მეტყველება დამთავრდა შეწყვეტილ სიტყვებზე: „ფიურერ...“

ამ არაკს ჩვენ შემთხვევით წავაწყდით: მას ავტორის ვინაობა არ აწერია. უცნობი ავტორი გვთხოვს, აღვნიშნოთ, რომ არაკი ჰიტლერსა და მის დამქაშებს ეძღვნება მცირე ფილოლოგიური შესწორებით.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ ავტორი შესასწორებლად გულისხმობს ზემოთმოხსენებულ შეწყვეტილ სიტყვას: „ფიურერ“-ს. ჩვენ კვლევითი ალლო მოვიშველიეთ და აღნიშნულ სიტყვას წინ „თ“ მიუმატეთ, ხოლო „უნი“ და „ინი“ ვადავანაცვლეთ ამის შემდეგ შეწყვეტილი სიტყვა გაიმართა შემდგენარად: „ოფუი“ — რასაც ჩვენი მხრივაც ვუძღვნით ჰიტლერსა და მის დამქაშებს.

ზარსაღანი



# სანდამუში



ეროვნული  
ბიზლიროთიკა

„ნიანგის“ რედაქციაში შევედი. ნიანგი რედაქტორის მაგიდასთან იჯდა. მასალა გავუწოდე და ვუთხარი:

- მასალა მოგიტანეთ სანდამუში, თუ მოგეწონათ...
- სანდამუში ვინაა? — მკითხა ნიანგმა და წარბები ახიდა,
- სანდამუშს არ იცნობთ? — გამიკვირდა მე. — სანდამუში ახალი

სტუმარია თბილისში. ერთი შეხედვით სუფთაა, დაბანულ — დავარცხნილი, ერთდებოა კუჭყსა და სხვასაც ურჩევს კულტურულ ჩვევებს. სანდამუში მკაცრია, არავითარ შემთხვევაში არ გადაუხვევს წესებს. სულაც რომ ვხდებოდეთ, კანონს არ დაარღვევს. სანდამუში ჭკვიანია. რომ დაუკვირდეთ, მოფიქრებულია და გაზომილი. პირდაპირ თქვენი ცხოვრების გადასარჩენადაა მოვლინებული თბილისში. სანდამუში სასარგებლოა. გიკვირთ, როგორ ცხოვრობდით აქამდე უმისოდ? სანდამუშს ამ მზიან მხარეებთან ერთად, ჩრდილიც ახლავს: მაგალითად, მისი გაცნობა სავალდებულოა. სულ ერთია — გინდათ თუ არა? არც იმას გკითხავს — გკირდება თუ არა? სანდამუში აჩრდილივითაა: წახვალ-გაგყვებათ, მოხვალ-მოგყვებათ. უმისოდ ფეხს ვერ გადადგამთ თბილისიდან. ვერც თბილისში შემოდგამთ ფეხს უმისოდ.

- სტუმარი კი არა ბატონი ყოფილა, — მითხრა ნიანგმა.
- სცდებით! — ვუპასუხე მე — ბატონს მოეველება. სანდამუშს ვერ მოუვლი. ვერაფრით ვერ მოინადირებ მას.

— აქარბებ, ჩემო ძმაო, გესმის? — გაიცინა ნიანგმა. — რას მაშინებ შენი სანდამუშით? მე ნიანგი ვარ, ძამია!

- გაიცანი თუ არ გჯერა, — ვუთხარი მე.
- ახლა არა მცალიან. რაიონში მივდივარ, გესმის? ჩამოსვლისას გავიცნობ. ახლა მე გავიცანი.

— აბა, თუ რაიონში მიდხარ თვითონ გაიცნობ... მე საბილეთო სალაროში დაგხვდები...

## 2.

მეორე დღეს საბილეთო სალაროში დაუდარაჯე ნიანგს. შუადღისას გამოჩნდა არაქათგამოლუული ნიანგი. მკლავზე თავისი კოფერკოტის პალტო გადაეკიდა. კოსტუმი ისე ჰქონდა დაღმეჭილი, თითქოს ლელოს თამაშიდან გამოსულაო. ნანსუკის კოხტა პერანგი და საყულო გამოწურული ლიმონის ფერისა ჰქონდა. ისე იყო დაღლილი, თითქოს ორმოცკილომეტრიანი კროსი გაერბინოს.

— კაცო, რა დაგემართა? — ვკითხე მე და ირიბად შევხედე რადგან ვიცოდი, რაც დაემართა.

- სანდამუშში ვიყავი.
- გაიცანი?
- და როგორ! — სარკასტულად გაიცინა ნიანგმა. — მოველი საბილეთო სალაროში, მითხრეს სანდამუში თუ არ გექნა, ბილეთს არ

მოგცემთო. სად არის მეთქი ეს სანდამუში? „რა ვიცი მე სად არისო“, მიპასუხა მოლარემ. ვიკითხე და კითხვა-კითხვით მირზოვეის აბანოში მივედი. ვხედავ, უამრავი ხალხი დგას რიგში. რა ყრფილა ეგ სანდამუში მეთქი, ვაფიქრე, და ჩავედქი რიგში. შევატყვევებ ჩემი ჩადგომა რიგში ბევრს გაეხარდა. ისიც კი გავიგონე, რომ ერთმა თქვა:

— ეს „ნიანგიაო“, ალბათ განგებ მოვიდა, რომ სანდამუში გაიცნოს. აი, რას ნიშნავს რედაქციის ზრუნვა მკითხველებზეო...

ახლა უფრო დამაინტერესა ამ სანდამუშმა... როცა ჩემმა ჯერმა მოაწია შევედი ოთახში. ვხედავ, დგას თეთრხალათიანი კაცი. შემომხედა, შევხედე.

— თქვენ არ გკირდებათ სანდამუში, მაგრამ უსანდამუშოდ მაინც არ შეიძლება, — თქვა თეთრხალათიანმა. — აი, ქვითარი, წადით, გაიხადეთ, იზანავეთ!



— ვა! ეს რა ხათაბალაა? — ვაფიქრე და მინდოდა მეკითხა რატომ უნდა ვავიხადო, რატომ უნდა ვიზანავო, როცა... მაგრამ ტალღა მომაწვა რიგში მდგომთა და ჩემდა უნებლოდ შიგ აბანოში მოვხვდი. რას ვხედავ: დგას ტიტველი ხალხი და ცალკე საცვლები უჭირავთ ცალკე ტანისამოსი. ვახიადი ამხანაგოვო, მითხრა ვილაცამ, რას იკავებ ადგილსო? მე სანდამუში მინდა მეთქი, ვუპასუხე. ვახიადე და ნახაო, მითხრა მან. მუდამ შენ რომ იკბინები, ახლა შენც გიკბინონო. გესმის? მოგეხსენება, მე ლაჩარი არა ვარ. ვავიხადე. მიკბენს — ვუკბენ მეთქი — გადავწყვიტე. და ჩავდექი ტიტლიკანების რიგში. — საცვლები ცალკე კოსტუმი ცალკე და მერე აუზში. — მითხრა ვილაცამ და მომცეს რაღაც ქვითარი. სად ჯანაბაში წავილაო ეგ ქვითარი. ამ აუზში? და ვინაა ეგ სანდამუში, რომ ასე ჯირითობს ჩემს ზურგზე? გესმის? ჰო და შევედი აუზში. რას ვხედავ! დგანან ტიტლიკანები და სიცივისგან ფიზკულტურას ვარჯიშობენ. ერთი

ვილაც გაბრიყვებულა და საპონი წაუცხია. წყალი არ ყოფნის საცოდავს და დგას გასაბნული. ხელში ძირგახერცტილი ბადია უჭირავს და ონკანიდან წვეთ-წვეთობით აგროვებს წყალს. ბრაზობს და იმუქრება:

— სად არის ახლა ის ნიანგი? აქ იყო სადღაც... უნდა ვრეგვო

თავში ეს ცარიელი ბადია, თუ არ დაკბინა ეს სანდამუში.

მე, გესმის, ლაჩარი არა ვარ, მაგრამ ისე შემეშინდა ამ გასაბნულისა, რომ მივანებე თავი სააბაზანოს და გამოვბრუნდი... მომეცით ჩემი საცვლები მეთქი... მოიცადეთ, სანამ ორთქლში გაივლისო, მიპასუხეს. რა დააშავა ამხანაგო, ჩემმა პერანგმა და მისმა ამხანაგმა მეთქი, ვიკითხე. ბევრს ნუ ლაპარაკობ, სანდამუშიაო...

ვიცადე, ვიცადე... ბოლოს გამოაცხადეს: მიიღეთ საცვლები და ტანისამოსიო. ჩავედქი რიგში. ჯერ საცვლების რიგში. გამომიწოდეს რაღაც ყვითელი, რომელსაც დამწვრის სუნი უდიოდა.

— შენ ახლაც ვიდის დამწვრის სუნი, — ვუთხარი მე.

— შენ ეგა სთქვი და... — ვაფიქრე ნიანგს. — ამხანაგო, ჩემი საცვლები მომეცით მეთქი, ვუთხარი პერანგის დამწველს. აბა ბებია ჩემის არაა მაგი, შენია, წაიღეო. იცით თუ არა მე ვინა ვარ მეთქი? — ვუთხარი რიხით. ოქმს შეგიდგენ მეთქი. მაგრამ აბანოში თუ წყალი არაა ქალაღი საიდან იქნებოდა?... ახლა პალტოსა და კოსტუმს არ იკითხავ? აი, როგორ დაღმეჭეს!... გესმის?..

— მესმის! — ვუპასუხე მე. — მაგრამ... მაინც არ მესმის...

— არაფერია, მე მაინც ოპტიმისტი ვარ! — გაიცინა ნიანგმა. — თუ სანდამუშს ჰქუა ასწავლეს ის სასარგებლო მართლა იქნება. ჯერჯერობით კი ჩვენც უნდა დავეხმაროთ მას, ნუ იზრდება ბნელ კუნჭულში. გამოვიდეს მზის სინათლეზე. ამისთვის მე ფრჩხილებიდან დავიწყებ. გესმის?

— როგორ თუ ფრჩხილებიდან? — გამიკვირდა მე.

— ჰო, ფრჩხილებს გაუხსნი სანდამუშს. და, ყველამ იცოდეს, როგორია ახლა იგი და როგორი არ უნდა იყოს ახლა იგი... სანდამუში... იგივე სანიტარული დამუშავება...





— იგი მან, ჩვენ ცოდვს გავწავებ, როცა გვარბლებზე უფროსი მთლიანად  
გაბარდვები. მე პირადად ვიცი სტაია, სადაც გვარბლებზე ახადები წავა-  
რბლებზე.  
— არ შეგერბა, ჩაკომ.  
— უღ ღობალი მისეზის გამო ჩვენს შესაბამის ბატონებზე მთლიანად  
გაბარდვებ რუნებლდება. ]

პიტომის

ამა ქვის ქვეშ მდებარე  
აღოლე პიტომი, გაბრწილი,  
მილითინა ტახტებში  
წარსის მთავარი წილი,  
საქონლის ხორცს არ სჯამდა,  
არ ზოგადე კაცის ხორცს,  
სისუფთავის მინათი იქ  
შეზავი მას თუნს შეზაიკს.

გუსოლინის

ამ მიწის ქვეშ მხარ-თიერზე  
წამოხდებოდა იგი ღრუნი,  
არ ისვენებს და სხეებს აქვს  
მას წაბაბინ ყველას ურჩევს.  
სიცოცხლეში იგი სძულდათ  
მის „გმირი ლაშქარს“ ბევრჯერ მისცეს,  
ამ მიტების „ქვებით“ ღობად  
მეცდარსაც აძლევს ახლაც სიცეს

პეპის

ითხმოცი წლის მარწლი პეტრეს,  
ამ მიწის რომ მარბია,  
საფრანგეთის ხალხის რისხვა  
იპეს თანვე მას ავირია,

მეტომ ვამბეულს აღარ ძალეს  
ზოგმა გველი არ აუწიოს,  
არ წერდეს და ბერს ქოფავს  
სახეში არ მიუთრევიან

მისხარლი



— ამ უბედურმა ხანრიდან თანქია და...  
— ზერ, გერ დამხარე თავის ქვით  
— საწუხაროდ, ვერ, ნაწავებრებთა სწავიერი დავსამია.

ენიანგილმსიკი

აბსურდი-გებულის სიტყვა.  
აბსურდისმი-ტრანსპლანტაციის  
მთავარი.

პეპარ მოთხრობები

ბერლინის ერთ-ერთ სკოლაში, გაცვივლის დროს  
მასწავლებელი დაბრუნდა ცილითი მიმართვის მიწვევის.  
— მოწვევ ბერტა იუნგერ, რას სწერ ასე ბეჯითად.  
— მ... მ... წერილს მასწავლებელს.  
— მანამ  
— მან, მანის შესახებ ვწერ.  
— ვის?  
— მ... მ... იუორის!  
— იუორის? რის შესახებ?  
— ისე, იგი მინდა ვაქნობო, რომ მამას გადაწყვეტილი  
აქვს თავი ჩაბოხროს.  
— რას მთავრე რა იცი მზე?  
— მე თითონ ვაგვირე, მან დიდას გადაჭრით გა-  
მოცხადა, ადრე შემოდიან ამ ქვენი გულტანის ტერიორის  
და ტრეკოლო სილატუსის ატემა. თუც წამოგზობრობო.  
— მერე იუორი რა მუშაა, რატომ სწერი მამ?  
— მ... მ... მინდა ვიხილო რომ...  
— რა უნდა სთხოვო?  
— მინდა ვიხილო იუორის, რომ მან ერთხელ მაინც  
შეასრულოს თავისი დამირება.  
— რა დაპირება?  
— ჩამოხობროს თავი მამას მაგიერ, ის ხომ შეუდამ  
გვერებთ: თქვენს მაგიერ მე ვფეკობობო.

გულსადილი დასკვნა  
ჭრილობის გამო ფრინტიდან ზურგის ლაზარეთში  
მხოველილი კატკო ტრანაბერიც, საკმაოდ გამოკან-  
სადეა. მართალია, მას ცუდი ფეხები აქვს მიწვე-  
ბის, ისიც სწორია, რომ მამოგვინა ხელის თათი თითი  
და მარცხენა იერი მოკლეობდა აქვს, ცხადია ისიც, რომ  
მიწის ქარისაგან თავის ქანჭილი დასრულებია. მაგრამ ეს  
ყველაფერი მისთვის უკვე მთავარი აღარ არის, მთავარი  
ტრანაბერისთვის ახლა ისაა, რომ ცაცხისის ტრანაბე-  
რის ფეხტყარებში დასრულებული ცილის და თან სკელორი  
თავი ჩაიტანა. მან გაბეჯელებული გაუბა მასლაილი ძველ



გერმანული არმიის ტრანაბერს შექმნილი წამოვლად  
მეგობრობის გამო ღრმა ფეხტყარის იყო ვართული  
და გამოხალხ ეტყობ.



ინგლის-ამერიკელებს არ წავსო ვებრბად ღრმა  
ძილს მივცე და ძილში მანა, ამ მთა ღრმისკენ მივ-  
ბად ქველად ვებრბად და ხელთა ზღვარს მივტყობებ.

მის ზოგნანდო


ავხანში მოიტანეს. ეახმითან ერთად მოიტანეს რა-  
ლაც გრული მეტრული. ეხედათ, ტრიაო.  
მოიტანებო იცილორბო.  
„ახალ დილით... გვეთრებს...“  
ჯერ კი ხელი არ ახლოთ ამ მეტრულს, თქვეთვის უფრო  
სიტყვითა ხვალ წახოთ. გავაფრთხილებს.  
ლიბთ მწე ამოთხარეს და თოი სურტი აღმართეს,  
რომლმბადც მოტანილი ცელა გააქრეს.  
ეხედათ, ტრიაო! ეხედათ დასაბეჭდა პიტომი თავისი ნა-  
ტურალური სისალბით. ეტყობოდა, მხატვარის არ დემწე-  
რა უწიო ეტყობა იგი კონსტრუქტოზომა. საც დაღრეუბ-  
ნი, ხელში ეჭებოდა, ერთი სურტი წყაროიდებოდა იყო



გერმანული არმიის დაბეჯელება ამ მან წამოვლად  
დაიანა, ბიკრი ეტყობა გერმანია-ტალასის უღრ-  
ბი და მათი არმა მხელაშეაქვლან ხალხზე.

„გ ა ე ს რ კ ე ა თ ი“

პიტომი სასიკლო კარიკატურაში. ქვეშ კი მსხვილი  
ასოცებო ეწერა: „მესროლოო“!  
ჩვენ ხარბარი მოვრთო. ყველას ვვიანტრეტებოდა  
როლორ მოიტკედოდნენ გერმანელები ხელა. ცხადია მათ  
სათიროს გერმანეობა შეეჭმია. ერთის მხრივ, უნდა  
ცხოვროდნენ, რომ ფიფიერის კარიკატურული სურათი მოი-  
შოროს, მეორეს მხრივ როგორც ესროლონ ასეთ „წიონდა  
არსებო“ პირდაპირ სცნადო!  
გვთხედ. მზემ ვაიშუქა „პიტომელებო“ პორტრეტი.  
გვემსხვ გერმანელების ტრანაბერი მხობრია, დარბაზი,  
ხედავთ: ზოგადობა მომლოდინო უტყობო, ზოგიერთი-  
ნი ხელეს ვაჭრებენ, რომ გამოხატონ აიშოვთებია.  
ჩვენც ვცნოდოდა. რამდენიმე მიწა უთავაზო. ცუტხ  
ნით დაწარბდნენ. შინც არ ესვრან. ეწინათა-ფიფი-  
ერის წყარობა დაბლობს თავიანთ ტრანაბერს და ეტყობ-  
ქარენ და შეტყვები დაიწყეს, რომ რადაც არ დაღრეუბ-  
დით, სურათი წაეციოთ. ჩვენც ახლო მოვიხილოვებო. ისინი  
შიინც განაგრძობდნენ წინ წამოშევენ. ჩვენი ტყეები კი  
ცელადენ მთი ჯარისკაცებს.



მთელ დღე იღვა თივის ადგილას პიტომის პორ-  
ტრეტი. მზემ პიტომელებმა ვეღარ მოითინდა და  
პირდაპირ ესროლეს მას. მათ შესარულეს რაც სურათის  
ქვეშ ეწერა. ამ საქმეში მთელ დასაბეჭდას ასრული ფიციკი.  
ჩვენც კი დაჯარგა იყო ძილან მცირე, ერთი დაჯარ-  
ბი, ისიც მე, რომელიც ანგავად, როგორც მუცდავთ,  
სრულიად კარად ვგრძობო თას.

მ. შ. ვკოშვიდის წამოებით



უკანასკნელი პატაკი

მის. ზოზიანკო

### მხიარული პროექტი

წარსული წლის დეკემბერში გერმანელების დივიზიის შტაბი ჩავივდეთ ხელში. შტაბის ქაღალდებს შორის საინტერესო დოკუმენტი ვიპოვეთ. ეს იყო პოლკის მეთაურის თხოვნა დივიზიის უფროსისადმი. ამ თხოვნაში პოლკოვნიკი მწუხარებას გამოსთქვამდა იმის შესახებ, რომ მისი პოლკის ჯარისკაცები თანაბრად არ მდიდრდებიან.

„ერთი ჯარისკაცი საკმომ ძვირფას ნივთებს იძენს, მეორეს კი წინააღმდეგ, ბედი ხელს არ უწყობს. და იგი, ნახევარ წლის ბრძოლის შედეგად არაფერს არ იძენს. ამის გამო პოლკოვნიკი წინადადებას აძლევს მას შეასრულოს შემდეგი მისი პროექტი:

„საჭირო იქნება ყველა ნივთები და ძვირფასეულობა, რომლებსაც მოსახლეობას ართმევენ ჯარისკაცები, ერთ ადგილას გროვდებოდეს, სახელდობრ, პოლკის შტაბში იმ მოსახრებით, რომ შემდეგ თანაბრად ნაწილდებოდეს ისინი“.

ჩვენ არ ვიცით, ამ პროექტის შედგენის დროს რით ხელმძღვანელობდა შემოხსენებული პოლკოვნიკი, მოყვრისადმი სიყვარულით, გულკეთილობით თუ პირადი ინტერესებით, რომ ჯარისკაცების მიერ „ორგანიზებული“ ნივთები მას ხელში არ უვარდებოდა.

ჩვენ უფრო გვჯერა, რომ პროექტის შედგენის დროს სწორედ უკანასკნელი მომენტი გადამწყვეტ როლს თამაშობდა.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ „მაღალი რასის“ ეს ტიპური წარმომადგენელი თავისთავს არ დაივიწყებს. როცა მისი პროექტი განხორციელდება და „ორგანიზებული“ ნივთები მის ხელში დაგროვდება.


ნაამბობი პოლკოვნიკ პ. ბ. მიერ



— ეფრემიტორ ლაყენბერგ, რას გწერენ სახლიდან?  
— შიმშილი და სიკვდილიანობა მუსრს გვაფლებსო.  
— მე პირიქით—სიკვდილიანობა და შიმშილი გვაფლებს მუსრსო.

### ჩვეულებრივი მარხვაში

ნახ. ბორ. ქვარაიასი



### შეირიბი


ქალმა პური გამოაცხო, გობზე ცომი აფხიკა; რომელს ცურვა უსწავლია, უკან დარჩა აფრიკა, ზღვა გასცურა... შიშისაგან მოდის ელეთ-მელეთი... ალბათ წყალი უფრო მოსწონს, არ იზიდავს ხმელეთი. ფონ არნიშიც ავარჯიშა, ცურვა კი ვერ ასწავლა და ტუნისში მიატოვა იგი ტყვედ და ნადავლად. ი. ზეგნელი



— საით მიდის, ოტტო, ჩვენი ეს-ესელების უმე-  
ლნი?  
— საიქიოსკენ.  
— ?  
— რას გიკვირს? საბჭოთა კავშირში იგზავნება და  
სამ იცი რომ საიქიოსკენ გასტუმრებენ!

### გამოსავალი

ნახ. ვ. მანჯავიძისა



— არიქა, მოვემზადოთ, წითლებ-გამორდენ,  
— როგორ მოვემზადოთ?  
— ხელები ავწიოთ.



გასული წლის ნოემბერში გერმანიის ჯარის ნაწილებში წაკითხულ იქნა ჰიტლერის ბრძანება, რომელშიც ნათქვამია: „არ დასთმობ არც ერთი კილომეტრი ოკუპირებულ ტერიტორიასა და მთელი ზამთრის განმავლობაში შეინარჩუნეთ დაკავებული პოზიციები“.

ნახ. ლონისა

გაზეთებიდან

ბრძანა მან და ბრძანებებიც დაიწერა: „არ დასთმობ მიწა, ვისაც თქვენ წაართვით! დე, გაიგონ, - საარსებო გვინდა სივრცე, მიტომ მალე სტალინგრადი აქ მომართვით!

სადაც წინ ვერ წაიწიოთ, დაჩრით იქვე, მაგრამ უკან დახვევა კი არ გაბედოთ! ამ ხამთარში იალბუზზე ასვლა გიწვეთ, რომ იქიდან კავკასიის გადახედოთ!

ამის შემდეგ კიდევ ბრძანა. - განა ერთხელ, ზამთარი კი თუმც გავიდა გასული წლის, ის ბრძანებაც იქვე დარჩა, სადაც იდგა, და შედეგი იმ ბრძანების ყველამ იცის:

სტალინგრადი იქვე არის, სადაც იყო, დროშა მისი გამარჯვების იქ ფრიალებს, და ფრიცებიც, ვით ბრძანებდა ფიურერი, იქვე დარჩნენ და შავ მიწას მიაბარეს.

შეიძლება კვლავ დაწეროს მან ბრძანება და ვით ერთმა დედამეგრმა განიზრახა წაუჭიდოს ცეცხლი ზღვას და ოკეანეს.. ისე, ვით დღეს, სასაცილოდ მას კვლავ ენახავთ!

ყუმბარა

ისრები

1. ჰიტლერსა და მის დამქაშებს

„ასრულებენ რა ჰიტლერის დაკვეთას, შვეციის ზოგიერთი სოციალ-დემოკრატები ლაზღანდარობენ სეპარატულ ზავზე გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის“.

გაზეთებიდან

ჰიტლერსა და მის დამქაშებს წაუფიქრებ საქმე ცუდათ. თუმც ჯერ ისევ ფაფურობენ, მაგრამ ზავი გულით უნდათ.

აფრიკიდან განდევნილებს ყველა ბანდიტს, მგლეჯელს, მპარავს, ევროპაშიც შიში აკრთობს, ევროპაშიც შიში ზარავს.

ნიადაგის მოსასინჯად იზმარებენ „ნეიტრალებს“, მაგრამ ეხლა აკაზაკებს განა ვინმე შეიბრალელებ?

ზავი მაშინ დაიდება და შეწყდება უკვე ომი, როს მუხლებზე დაიჩოქებს ბერლინი და ძველი რომი.

II. ჩიჩიკოვს დამსგავსება

„მუსოლინიმა გამოაცხადა, რომ იტალიის არმიის „არნიმის“ საბჭოთა კავშირში დადებული ოციტრები და ჯარისკაცები 12 თვის განმავლობაში დარჩებიან ცოცხალთა სიებში“.

გაზეთებიდან

საწყალი, „დუჩე“ ბენიტო ჩიჩიკოვს დამსგავსება. ცოცხლებში იწერს თავის ჯარს თუმცა ისინი მკვდრებიან.

ეს ძველი კომბინატორი სჩანს რომ გაკოტრდა სრულებით. რადგან ფონს გასვლას აპირებს ეხლა ის მკვდარი სულგებით.

წყალწაღებულსაც იმედი აქვსო ხან ამის, ხან იმის, და მუსოლინსაც სანელი ჰფიქრობს უშველის „არნიმის“.

მაგრამ ცოცხლებიც ვერაფერს გაზდნენ საბჭოთა ჯარებთან. აწ მკვდრები რას უშველიან დამდგარს სამარის კარებთან!..

მურკაძე



— რა მიზეზია, კურტ, რომ ფეხის ხმის გაგონებაზედაც კი ხელებს მალლა სწევ ხოლმე?  
— რას იზამ, ფრიც, ჩვეულებაა, შევეჩვიე სტალინგრადთან ვარჯიშობის დროს.

უცხოეთის იუმორი\*)

მარგარიტი და კარტოფილი

ერთი ვილაც ფაშისტი, რომელიც ქ. ოსლოში ბროდუქტების ჯვრში იდგა, სასტიკად ჰკიცხავდა ინგლისელებს, რომლებსაც დაანგრის თევზეულობის გადამმუშავებელი ქარხანა.  
— აი, იმათი ბრალია, რომ ჩვენ აღარ შეგვიძლია მივიღოთ მარგარინი. — ამბობდა ის. საბასუბოდ ჯვრიდან გაისმა ვილაც დედაბრის მისუსტებული ხმა:  
— ნეტავი ინგლისელები კარტოფილსაც ბომბავენ?

კითხვა—პასუხი

გერმანელების მიერ ნორვეგიის ოკუპაციის შემდეგ ქ. ოსლოს ბულვარში იჯდა ერთი კაცი და თითქოს თავისთავს ეკითხებოდა, ამბობდა:  
— მხოლოდ ერთი კაცის ბრალია ყველაფერი ეს. დიან, ამაში ბრალი მიუძღვის მხოლოდ ერთ კაცს.  
ამ დროს მის გვერდით ჩაარა ფაშისტი და გაიგონა ეს სიტყვები და ხელათვე წაიყვანა საპოლიციო უბანში.  
ვის გულისხმობთ თქვენ, როცა ამბობთ, რომ დამნაშავეა მხოლოდ ერთი კაცი? — ჰკითხა პოლიციელმა.  
— რა თქმა უნდა, მე მხედველობაში მყავდა ჩერჩილი. — უპასუხა ნორვეგიელმა.  
— ასეთი პასუხის შემდეგ ის გაათავისუფლეს, მაგრამ კარგში რომ მივიდა უკან მობრუნდა და იკითხა:  
— თქვენ ვიზედ ფიქრობდით?

რას გულისხმობს?!

— კვისლინგის პარტიის წევრს დასავლეთ ნორვეგიის ერთერთ ქალაქის თავს, უწევია თავისი ძველი ნაცნობი. მათ შორის გაიმართა შემდეგი საუბარი:  
— მე მინდა შენ გკითხო ერთი რამ. თუ გერმანიამ ომი წააგო, რას იზამ შენ?  
— მე დაფიქრებ კჟდს, ჩავიცვამ პალტოს და წავალ აქედან. — უპასუხა კვისლინგელმა.  
— პალტო, კიდევ ჰქ, მაგრამ კჟდს როგორ დაიხურავ?

სტუმართმოყვარეობა

ახალი წლის წინ ნორვეგიის ქალაქ ოსლოს გაზეთებში მოთავსებული იყო მიმართვა ცხოვრებლებისადმი, რომელშიაც წინადადებას აძლევდნენ მოქალაქეებს მიეწვიათ ერთი ან რამდენიმე გერმანელი ახალი წლის შესახვედრად „მყუდრო ოჯახურ პირობებში“. რალა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მოწყობილი იყო კვისლინგელების მიერ. მსურველებს უნდა დაერეკათ კვისლინგის პარტიის კომიტეტში.  
რამდენიმე ხნის შემდეგ გაისმა კომიტეტის მდივნის ტელეფონის ხარის წყრალი:  
— მითხარი: თქვენი საშუალებით შეიძლება მოვიწვიოთ გერმანელები?  
— დიან, დიან, კეთილი ინებეთ. რამდენი შეგიძლიათ თქვენ მიიწვიოთ?  
— ყველანი.  
— რას ამბობთ?  
— დიან, შემიძლია მივიღო ყველანი.  
— ვინა ხართ თქვენ?  
— მეკუბოვე.

\*) ეს პატარა მოთხრობები დაბეჭდილია ნორვეგიის მთავრობის ორგანოში „ნორსკ ტიდენდ“-ში, რომელიც გამოდის ლონდონში.

# შოთხრობა წვირიან ფრიცზე და დასუსტებულ „ჭრიე-ბრიცზე“

73-61  
საქართველო  
საბჭოთაო

ტექსტი ი. ხვინია

ნახ. ლონის

## ფრიცი ეცნობა კატუშას

საშინელი ხმაურია  
ჯაბა-ჯუბი, ღრიანცელი,  
თითქოს კეგლსა თამაშობდეს,  
გადამთვრალი ბელახებელი.  
ობერს შიში მოერია,  
ის კანკალმა აიტანა:  
—ქალია თუ როკაპია,  
ეს კატუშა ამისთანა?..“

მაგრამ ფრიცი ვერ მიმხვდარა—  
— აქ რა სურათს უჭერეტს თვალს,  
ვით ამინებს არილეებს  
კატერინა ერთი ქალი?

არა, ქალი როგორ შესძლებს  
შეშინებას ვაჟკაც ფრიცის,—



მან ქალების გემოვნება  
და მონიბლვის ხერხიც აცნა.

შორითო და მოკაზმა,  
სწამს მონიბლავს ფრეილეინს,  
თან მიართმევს საფეშქაშოთ  
ერთ ბოთლს ლეინოს რეინვეინს—

გაუფლის და გამოუფლის  
ფანჯარასთან იგი კატოს,  
ჯერ შორიდგან არ მიყობით,  
რომ სურვილი მოემატოს.




ამ განზრახვით ფრიცი მიდის,  
განიერად მიაბიჯებს:  
როს გაიცნობს ფრეილეინს,  
ნიშნს მოუგვებს თვის—მა ბიჭებს.

მაგრამ რაა?—ვისაც ჰკითხავს  
სად ცხოვრობსო იგი ქალი,  
ყველას სახე უფითრდება,  
იტანს შიში და კანკალი.

თითქოს ქალი კი არ იყოს,  
ჩრდილოეთის ველის ვარდი,  
ქაჯი იყოს კუდიანი,  
ჯოჯოხეთის ანაზარდი.

აი, ბოლოს, ისმის „ვაი!“...  
შიშისაგან მას აზრბოლებს,  
ხედავს ვარსკვლავიან ცაზე  
ვიღაც ავლებს ცეცხლის ხოლებს.



და უფერად ვით „ღვთის რისხვა“  
მას გრიგალი აიტაცებს...  
თვე გავიდა, მაგრამ შიშით  
კვლავ კანკალებს, კვლავ ბარბაცებს.

(გაგრძელება იქნება)

## მ ა ი ნ ს... შ ე ღ ი ა ნ

ნახ. გ. ასაგვისა

„ტუნისთან წაყვანილ გერმანულ ტყვეთა ნაწილი მოკავშირეთა სარდლობამ ეგვიპტეში მოათავსა, ნაწილი კი ამერიკაში იგზავნება.“



იტალიელი ოფიცერი:—თქვენნი ფიურერი გვპირდებოდით—სულ მოკლე ხანში ეგვიპტეში შეხვალთო, რაღას იტყვის ახლა?  
გერმანელი ოფიცერი:—წარმოიდგინე, რომ ფიურერი არ შემცდარა, ჩვენ ასე ქთუ ისე, მაინც შეგვივართ ეგვიპტეში.

საკრძალად კომუნია.

Тбилиსი. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

საქართველოში დასაბუთდა 1943 წ. 14/VI აზნ. ლ. 3. ბერძნის სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. გამომც. № 23 შეკ. № 474 უგ 1952